სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ოზურგეთის „არწივები“ - თბ „ავჭალა“		
გუნდი	თბ „ავჭალა“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	12/06/2024	მატჩის ადგილი	ოზურგეთი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	თბ „ავჭალა“		
☐მატჩის ოფიციალური პირი ☒პიროვნება	ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მენეჯერი - ნუგზარ მგელაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.	☐ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☒ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ : **ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მენეჯერის, ნუგზარ მგელაძის წერილი;**	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	03/07/2024	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მენეჯერის, ნუგზარ მგელაძის წერილი; მატჩის ოქმი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მენეჯერის, ნუგზარ მგელაძის წერილი;

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „ავჭალა“-ს წარმომადგენელმა, რეზო ქოქოლაძემ გუნდის თამაშზე არგამოცხადების მიზეზად გასვლითი შეხვედრისთვის გუნდის ფინანსური პრობლემები დაასახელა.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 12/06/2024 სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის მიერ დანიშნული იყო ჭაბუკთა „ბ“ პლეიოფის მატჩი ოზურგეთის „არწივები“-სა და თბ „ავჭალა“-ს შორის.
2. ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მენეჯერის ნუგზარ მგელაძის წერილის მიხედვით - მატჩი არ შედგა თბ „ავჭალა“-ს არ გამოცხადების გამო.
3. თბ „ავჭალა“-მ ვერ წარმოადგინა თამაშზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზ(ებ)ი.

მსჯელობა

სადისცპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის შემდეგ დადგენილად ცნო თბ „ავჭალა“-ს მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს ფიქსირებული სანქციები: 1-ლი პუნქტის დარღვევა და მიიღო

გადაწყვეტილება

1. თბ „ავჭალა“-ს ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 3(სამი) საცხრილო ქულა ჭაბუკთა „ბ“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში თბ „ავჭალა“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში დამატებით დააკლდება 2(ორი) საცხრილო ქულა.
3. თბ „ავჭალა“ 2024-2025 წლის სათამაშო სეზონს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დაიწყებს დაკლებული ქულების შესაბამისი უარყოფითი საცხრილო ქულათა ბალანსით.
4. ოზურგეთის „არწივებს“ ჩაეთვალოს მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	03/07/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**